01/07/2025

MES 8 25 0000789192

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 23 ივნისის 16:00 ს აათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Topic: პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა
Time: Jun. 23, 2025 16:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/82620962085?pwd=o0SHqTzUxtVhaLruE9melHDq337dNT.1
Meeting ID: 826 2096 2085
Passcode: 297676

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრები:

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარე);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ხათუნა ცერცვაძე - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);
სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);

ნათია გვირჯიშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

დაწესებულების წარმომადგენლები

შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმი
ნინო ჩიკვაშვილი - გენერალური დირექტორი
ნათია კილაძე - აღმასრულებელი დირექტორი
ნანა ჩარექიშვილი - სკოლის დირექტორი
თამთა კობახიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
მედეა მჭედლიშვილი - პროფესიული და უწყვეტი განათლების მხარდაჭერის მენეჯერი
ამირან ლეკვეიშვილი - პარტნიორი კომპანიის შპს „ელთ ბილდინგის“ წარმომადგენელი, მთავარი ოპერაციული მენეჯერი

ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა
ვახტანგ ბერიძე - დირექტორი
მაია ანანიძე - მოადგილე
თამარ კვაჭაძე - ხარისხის მართვის სპეციალისტი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგ ის ექსპერტები:
იზაბელა ფერიშვილი
მედეა თუთბერიძე
მაკო ჯაოშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:08 საათზე

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება.
რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის „სასტუმროს საოპერაციო დეპარტამენტების ოპერირება“ /02308/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის „აპარტ ოტელების ოპერირება“ /02309/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის „მუსიკის რეპეტიტორი“ /02305/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის „კულტურული ღონისძიების ორგანიზატორი“ /02302/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის „ქართული ხალხური ცეკვის რეპეტიტორ-ქორეოგრაფი“ /02303/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის „ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობი“ /02304/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით

1. შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის „სასტუმროს საოპერაციო დეპარტამენტების ოპერირება“ /02308/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის „აპარტ ოტელების ოპერირება“ /02309/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.

საკითხები ერთიანი პრეზენტაციის სახით საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა იზაბელა ფერიშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 21 მარტის №554816 და №554792 ბრძანებების საფუძველზე დარგის ექსპერტმა იზაბელა ფერიაშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა, მაყვალა დარსანიამ 2025 წლის 10 ივნისს განახორციელეს ვიზიტი შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი-ბათუმში, მისამართზე ქ. ბათუმი, ვახტანგ შამილაძის ქ. №30.

დაწესებულებას ცენტრში წარმოდგენილი ჰქონდა ორი პროფესიული მომზადების პროგრამა „სასტუმროს საოპერაციო დეპარტამენტების ოპერირება“ და „აპარტ ოტელების ოპერირება“. დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ „სასტუმროს საოპერაციო დეპარტამენტების ოპერირება“ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, განხორციელების ადგილი: ქ. ბათუმი, ვახტანგ შამილაძის ქ. №30.

„აპარტ ოტელების ოპერირება“ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, განხორციელების ადგილი: ქ. ბათუმი, ვახტანგ შამილაძის ქ. №30.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.

პროგრამების საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ აჭარის რეგიონში შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით, ინფორმაცია გამოთხოვილი იქნა აჭარის ა/რ დასაქმების სააგენტოსგან და წარმოდგენილი კორესპონდენციითაც დგინდება, რომ დასაქმების სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად შრომის ბაზრის ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულ დამსაქმებელთა 30%-ის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები. ასევე, სააგენტოს მიერ წლის განმავლობაში მიღებული და დამუშავებული ვაკანსიების 45%-მდე წარმოადგენს განთავსების საშუალებებში მომსახურე პერსონალს, როგორიცაა ადმინისტრატორი, რეცეფციონისტი, ბელბოი და სხვ. ტურიზმის სფეროს სწრაფი განვითარება და განთავსების ობიექტების ზრდა აჭარაში ზრდის მოთხოვნას კვალიფიციურ პერსონალზე. რაც ხელს უწყობს ტურისტების მიღებას და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას. ამ პროცესის შედეგია დამსაქმებლის მზარდი მოთხოვნა სასტუმროს სფეროში, როგორც ზოგადად, აგრეთვე საოპერაციო დეპარტამენტებში კვალიფიციურ კადრებზე. ბოლო პერიოდში მკვეთრად მატულობს მოთხოვნა კვალიფიციურ კადრებზე, როგორც სასტუმროების, ასევე აპარტ ოტელის სექტორში. იზრდება, როგორც დამსაქმებელთა რაოდენობა, ასევე მატულობს ვაკანსიების რაოდენობა სხვადასხვა პოზიციაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების არსებობა, რომლებიც სრულად უპასუხებს ამ მზარდი მოთხოვნის საჭიროებებს. დამსაქმებელთა მოთხოვნისა და საჭიროების

შესაბამისი კადრების მომზადება, მნიშვნელოვნად შეამცირებს რეგიონალურ შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსს. ამასთან, კვალიფიციური კადრების მიწოდება გააუმჯობესებს მომსახურების ხარისხს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის პროდუქტიულობას და სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებების სფეროს განვითარებას შეუწყობს ხელს.

პროგრამების სახელწოდება შეესაბამება პროგრამების შინაარს და არ არის შეცდომაში შემყვანი, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.
პროფესიული მომზადების პროგრამებზე - დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება, ასაკი - 18 წელი, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება. სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა -გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, პროგრამების ხანგრძლივობა/მოცულობა/ მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამები ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით, გასაუბრებით პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან.
პროფესიული მომზადების პროგრამების – „სასტუმროს საოპერაციო დეპარტამენტების ოპერირება“ და „აპარტ ოტელების ოპერირება“ – პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება შპს „ელთ ბილდინგის“ ბაზაზე. შპს „ელთ ბილდინგი“ ოპერირებს საქართველოს ბაზარზე 2017 წლიდან და წარმოადგენს სწრაფად მზარდ კომპანიას ტურიზმისა და სტუმარ-მასპინძლობის სექტორში. „ელთ ბილდინგმა“ წარმატებით განახორციელა არაერთი პროექტი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით. განხორციელებული პროექტები მოიცავს აპარტ ოტელების, საცხოვრებელი კომპლექსების და სასტუმროს სრულ ოპერირებას, მენეჯმენტს და სერვისების უზრუნველყოფას სტუმრებისთვის როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ სეგმენტში. კომპანია მოიცავს შემდეგ ობიექტებს: La Quinta by Wyndham Batumi; Wyn Residence; Sunrise Batumi Aparthotel; Sunset Batumi Aparthotel; Rainbow Batumi Aparthotel.
სწავლის შედეგების პრაქტიკული კომპონენტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, კერძოდ, კომპანია „ელთ ბილდინგის“ აჭარის რეგიონში პირველ ,,La Quinta by Wyndham'' ბრენდის სასტუმროში, ,,La Quinta by Wyndham Batumi'', „ელთ ბილდინგი“ და ამერიკული სასტუმრო ქსელის Wyndham Hotel Group-ის ერთობლივი პროექტია.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებში ასახული ინფორმაციით.
პროგრამები უზრუნველყოფილია სწალის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, პროგრამების განხორციელებაში ჩართული იქნება 3-3 განმახორციელებელი პირი, რაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინტერვიუირებით. პროგრამის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით, ასევე პარტნიორი კომპანიის ინფრასტრუქტურით.
სასწავ-ლო რესურსი წარმოდგენილია ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგებს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტუდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შესაბამისობის შესახებ საქართველოს მთავრობის 370-ე დადგენილების - ტექნიკურ რეგლამენტთან „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შ ე ს ა ხ ე ბ “ .
მესამე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმი არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამების

განხორციელებით სკოლა ხელს უწყობს უწყვეტ პროფესიულ განათლებას, რითაც თავისი წვლილი შეაქვს ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლა არის ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც აცნობიერებს საკუთარ როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურების შესახებ, დაწესებულება უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას, საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან. რაც შეეხება ქვესტანდარტებს 3.5, 3.7 ქვესტანდარტები არ ექვემდებარება შეფასებას გამოცდილების არ არსებობის გამო.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ სამივე სტანდარტი შესაბამისობაშია. მან საბჭოს წინაშე წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ ჯენჭისყრაზე დააყენა შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის „სასტუმროს საოპერაციო დეპარტამენტების ოპერირება“ /02308/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმს (ს/კ: 445740075) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სასტუმროს საოპერაციო დეპარტამენტების ოპერირება /02308/ **(დანართი 1).**

საბჭოს თავმჯდომარემ ჯენჭისყრაზე დააყენა შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის „აპარტ ოტელების ოპერირება“ /02309/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების

უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმს (ს/კ: 445740075) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - აპარტ ოტელების ოპერირება /02309/ **(დანართი 2).**

3. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის „მუსიკის რეპეტიტორი“ /02305/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა მედეა თურმანიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 21 მაისის №554733 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა მედეა თუთბერიძემ შეისწავლეს ა(ა)იპ - აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის პროფესიული გადამზადების პროგრამის „მუსიკის რეპეტიტორი“ (ID 02305) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2025 წლის 12 ივნისს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ - აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლაში, მისამართზე ქ. ბათუმი, გ. ტაბიძის ქ. №11.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა შემდეგი რეკომენდაციები.
ქვესტანდარტი 1.6 – პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით
მიზანშეწონილია სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერებთან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დოკუმენტში განსაზღვრული მეთოდოლოგიით, სწავლის შედეგების აღსაწერად გამოყენებულ უნდა იქნას ტაქსონომიები და მათი შესაბამისი აქტიური ზმნები აწმყო დროში. მიზანშეწონილია სწავლის შედეგებში დაკონკრეტდეს ცოდნის მასშტაბი, უნარების კომპლექსურობა და პასუხიმგებლობებისა და ავტონომიურობის ხარისხი, კერძოდ

პირველი სწავლის შედეგი „მუსიკალური უნარების განვითარება, მუსიკალურ-პედაგოგიური და ფსიქოლოგიური ამოცანები“ დაკორექტირდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „მუსიკალური უნარების განვითარება“; მეორე სწავლის შედეგი „სოლფეჯიო“ დაკორექტირდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „მუსიკის მახასიათებლების აღწერა და როლის განსაზღვრა“, ხოლო მესამე სწავლის შედეგი „საბავშვო სიმღერების სწავლება, გარჩევა, მღერა და მარტივი სიმღერის საფორტეპიანო თანხლება“ დაკორექტირდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „საბავშვო სიმღერების გარჩევა, მღერა და საფორტეპიანო თანხლება“.

ქვესტანდარტი 1.10 - მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას

განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ელ. სისტემაში წარმოდგენილ დოკუმენტში სწავლის შედეგების შეფასება არ არის წარმოდგენილი, ისეთნაირად, როგორც დაგეგმილი აქვს სკოლას, ტექნიკური უზუსტობაა ელ. სისტემაში წარმოდგენილ პროგრამაში, ვიზიტის დროს წარმოდგენილი იქნა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამა, რომელშიც სწავლის შედეგების შეფასება დაგეგმილია ასეთი სახით, კერძოდ, პირველი და მეორე სწავლის შედეგის შეფასება განხორციელდება მე-11 კვირას, ხოლო მე-20 კვირას დაგეგმილია მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 სწავლის შედეგების განმსაზღვრელი შეფასება. რეკომენდებულია პროგრამის დოკუმენტში გასწორდეს უზუსტობა მატერიალური სახით წარმოდგენილი პროგრამის დოკუმენტის შესაბამისად.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ „მუსიკის რეპეტიტორი“ პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 20 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10, განხორციელების ადგილი - ქ. ბათუმი, გ. ტაბიძის ქ. №11.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა, 2022 წლიდან ახორციელებს მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების 10 პროგრამას. სკოლის ისტორია 1950-იან წლებიდან იწყება. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კულტურის სფეროში სათანადო სახელოვნებო პროფესიული განათლების მქონე სპეციალისტების დეფიციტისა და მათ მიმართ მზარდი მოთხოვნილების გამო საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 26 ივლისის №105 ბრძანებით ქ. ბათუმში გაიხსნა კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის ბათუმის ფილიალი.

აღნიშნული პროგრამის მიმართ უკვე არსებობს დიდი ინტერესი. პროგრამების განხორციელება შესაძლებლობას მისცემთ დაინტერესებულ პირებს, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებს განავითარონ საკუთარი შესაძლებლობები სახელოვნებო მიმართულებით, სახელმწიფო თუ თვითდასაქმების გზით დაიმკვიდრონ თავი. სკოლის სოციალური არხებით გამოქვეყნდა საჯარო კვლევა რომლის მნიშვნელობაზეც საუბარი იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიაში და რადიოში, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 1000- მდე პირმა. გამოკითხულთა სრული უმრავლესობა აღნიშნავს მოკლევადიანი პროგრამების საჭიროებებს და გამოთქვამს მზაობას პროგრამებზე სწავლის აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულების 80% დასაქმებულია პროფესიული ნიშნით.

მან მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი. მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

პროფესიული გადამზადების პროგრამაზე - დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება, ასევე, მუსიკალური სკოლის მინიმუმ 4 კლასის განათლება, ან/და სამუშაო გამოცდილება; ფორტეპიანოზე დაკვრის ელემენტარული უნარ-ჩვევები. აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება - პროფესიის მოსინჯვის მეთოდით.

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამის ხანგრძლივობაა - 20 კვირა.
პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით, გასაუბრებით ა(ა)იპ - აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის წარმომადგენლებთან.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებში ასახული ინფორმაციით, ამ ქვესტანდარტთან მიმართებაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, გაიცა რეკომენდაცია.
მეორე სტანდარტთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწალის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით (3 განმახორციელებელი პირი), რაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინტერვიუირებით. პროგრამის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით. სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შესაბამისობის შესახებ საქართველოს მთავრობის 370-ე დადგენილების - ტექნიკურ რეგლამენტთან „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას პროგრამების ეფექტური განხორციელებისთვის. იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი წესით და კითხვარებით. კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას, ვიზიტის დროს გადამოწმდა https://e-vet.emis.ge/ ელ. სისტემა. აღნიშნული ელ. სისტემის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ყველა აუცილებელი ინფორმაცია დაწესებულებას ასახული აქვს სისტემაში.
სკოლა თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით და ელ. სისტემის დათვალიერებით დადგინდა, რომ სერტიფიკატების გაცემა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად.
სკოლას ამ ეტაპზე ყავს რამდენიმე პროგრამაზე აქტიური მსმენელები. ამ ეტაპზე სწავლება მიმდინარეობს შემდეგ პროგრამებზე - ,,ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობი“ – 11 მსმენელი; „ფოლკლორულ–ინსტრუმენტული ანსამბლის მსახიობ–აკომპანიატორი“ – 9 მსმენელი; „ბიბლიოთეკარი“ – 12 მსმენელი; "კულტურული ღონისძიების ორგანიზატორი“ – 7 მსმენელი.
ივნისის დასაწყისში დასრულდა სწავლება პროფესიული მომზადების პროგრამაზე ,,ფოტოგრაფია“ – 10 მსმენელი, ხოლო მაისში დასრულდა სწავლება პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ,,საქმისმწარმოებელი“ – 13 მსმენელი.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს წევრი ნათია გვირჯიშვილი დაინტერესდა, საკმარისი იყო თუ არა წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის 20 კვირა, რაზეც დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ 20 კვირა წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებისთვის სავსებით საკმარისია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენაა (ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლისთვის „მუსიკის რეპეტიტორი“ /02305/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლას (ს/კ: 445391736) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - მუსიკის რეპეტიტორი /02305/ **(დანართი 3).**

4. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის „კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორი“ /02302/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა მაკო ჯაოშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 21 მაისის №554725 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა მაკო ჯაოშვილმა შეისწავლეს ა(ა)იპ - აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის პროფესიული მომზადების პროგრამის „კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორი“ (ID 02302) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2025 წლის 12 ივნისს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ - აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლაში, მისამართზე ქ. ბათუმი, გ. ტაბიძის ქ. №11.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა შემდეგი რეკომენდაციები

ქვესტანდარტი 1.2 - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს

წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, თუმცა მე-4 კვირის თემატიკიდან ამოსაღებია თემატიკა „კონცეფციის შემუშავება“, ეს თემატიკა მე-5 სწავლის შედეგშია ასახული.

ქვესტანდარტი 1.3 - მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან

წარმოდგენილი პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, თუმცა სასურველია მიზანი დაკორექტირდეს, კერძოდ, პროგრამის მიზნიდან შემდეგი ფრაზა - კურსდამთავრებული შეძლებს სხვადასხვა ფონდებიდან გრანტების მოპოვების მიზნით ინდივიდუალური პროექტების მომზადებას, ჩანაცვლდეს შემდეგი ფორმულირებით: „კურსდამთავრებული შეძლებს ღონისძიებებისთვის დაფინანსების მოსაპოვებლად შესაბამისი საპროექტო წინადადების მომზადებას“.

ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

რეკომენდებულია მეორე სწავლის შედეგი „ღონისძიების იდეებისა და კონცეფციების შემუშავება“ დაკორექტირდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „ღონისძიების იდეებისა და კონცეფციის შემუშავება“.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 12, განხორციელების ადგილი - ქ. ბათუმი, გ. ტაბიძის ქ. №11.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი და აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარს და არ არის შეცდომაში შემყვანი, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. ამ ქვესტანდარტებთან მიმართებაში, როგორც ზემოთ აღინიშნა გაიცა რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ე ბ ი .

პროფესიული მომზადების პროგრამაზე - დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება. პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით, გასაუბრებით ა(ა)იპ - აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის წარმომადგენლებთან. მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებში ასახული ინფორმაციით.

მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით (3 განმახორციელებელი პირი), რაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინტერვიუირებით. პროგრამის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით. სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგებს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.
რაც შეეხება მე-2 სტანდარტის 2.4 ქვესტანდარტს და მე-3 სტანდარტის ქვესტანდარტებს, შეფასდა ანალოგიურად, ვინაიდან აღნიშნული პროგრამაც წარმოდგენილია ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის მიერ.
დარგის ექსპერტმა საბჭოს წინაშე წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარებ ჯენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის „კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორი“ /02302/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლას (ს/კ: 445391736) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორი /02302/ **(დანართი 4).**

5. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის „ქართული ხალხური ცეკვის რეპეტიტორ-ქორეოგრაფი“ /02303/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის „ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობი“ /02304/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.

საკითხები ერთიანი პრეზენტაციის სახით საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, მაყვალა დარსანიამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 21 მაისის №554751 და №554744 ბრძანებების საფუძველზე განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა უჩა დვალიშვილმა შეისწავლეს ა(ა)იპ - აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის პროფესიული გადამზადების პროგრამის „ქართული ხალხური ცეკვის რეპეტიტორ-ქორეოგრაფი“ (ID 02303) და პროფესიული მომზადების პროგრამის „ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობი“ (ID 02304) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადები და 2025 წლის 11 ივნისს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ - აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლაში, მისამართზე ქ. ბათუმი, გ. ტაბიძის ქ. №11.

დაწესებულებას ცენტრში წარმოდგენილი ჰქონდა ორი პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამა „ქართული ხალხური ცეკვის რეპეტიტორ-ქორეოგრაფი“ და „ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობი“ -დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით ცენტრის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ „ქართული ხალხური ცეკვის რეპეტიტორ-ქორეოგრაფი“ პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 16 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 12, განხორციელების ადგილი: ქ. ბათუმი, გ. ტაბიძის ქ. №11.

„ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობი“ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 28 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 12, განხორციელების ადგილი: ქ. ბათუმი, გ. ტაბიძის ქ. №11.

პროგრამების სახელწოდება შეესაბამება პროგრამების შინაარს და არ არის შეცდომაში შემყვანი, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროფესიული მომზადების პროგრამაზე - დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.

პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება, ასევე სახელოვნებო სკოლების ქორეოგრაფიული მიმართულების, ქორეოგრაფიული სტუდიის დამთავრების მოწმობა (ან დიპლომი), ქორეოგრაფიულ ანსამბლში ცეკვის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება. აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება - პროფესიის მოსინჯვის მ ე თ ო დ ი თ .

პროგრამების ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამები ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით, გასაუბრებით ა(ა)იპ - აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის წარმომადგენლებთან.

მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებში ასახული ინფორმაციით.
პროგრამები უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით (პროფესიული მომზადების პროგრამაზე - 5, ხოლო პროფესიული გადამზადების პროგრამაზე 3 განმახორციელებელი პირი), რაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინტერვიუირებით. პროგრამების მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამების ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით. სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგებს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.
რაც შეეხება მე-2 სტანდარტის 2.4 ქვესტანდარტს და მე-3 სტანდარტის ქვესტანდარტებს, შეფასდა ანალოგიურად, ვინაიდან აღნიშნული პროგრამაც წარმოდგენილია ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის მიერ.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის „ქართული ხალხური ცეკვის რეპეტიტორ-ქორეოგრაფი“ /02303/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრისშედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლას (ს/კ: 445391736) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ქართული ხალხური ცეკვის რეპეტიტორ-ქორეოგრაფი /02303/ **(დანართი 5).**

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის „ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობი“ /02304/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრისშედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლას (ს/კ: 445391736) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობი /02304/ **(დანართი 6).**

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა 17:20 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
გამყრელიძე გიორგი



პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს სხდომის მდივანი
სანაია სალომე



დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02308	სასტუმროს საოპერაციო დეპარტამენტების ოპერირება	პროფესიული მომზადება	მეოთხე	12	ქართული	15	ქ. ბათუმი, ვახტანგ შამილაძის ქ. №30

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02309	აპარტ ოტელების ოპერირება	პროფესიული მომზადება	მეოთხე	12	ქართული	15	ქ. ბათუმი, ვახტანგ შამილაძის ქ. №30

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02305	მუსიკის რეპეტიტორი	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	20	ქართული	10	ქ. ბათუმი, გ. ტაბიძის ქ. №11

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02302	კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორი	პროფესიული მომზადება	მეხუთე	12	ქართული	12	ქ. ბათუმი, გ. ტაბიძის ქ. №11

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02303	ქართული ხალხური ცეკვის რეპეტიტორ-ქორეოგრაფი	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	16	ქართული	12	ქ. ბათუმი, გ. ტაბიძის ქ. №11

დანართი 6

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02304	ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	28	ქართული	12	ქ. ბათუმი, გ. ტაბიძის ქ. №11